ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2176722

ნომერი: AR1332138

თარიღი : 04.08.2015

გაცემის თარიღი : 07.09.2015

გაცნობის თარიღი : 08.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ , "დიდუბე"-ს ქვედა გასასვლელი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა მაჭავარიანი პ/ნ 01001077206
- თბილისი,გლდანიIVმრ.104კორპ.ბინა61.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1332138 ელექტრონულად ატვირთული განცხადება,რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში,დიდუბის რაიონი,მეტროს სადგურ,“დიდუბე“–ს ქვედა გასასვლელთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N#01.13.03.051.014) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

მოცემულ შემთხვევაში თქვენ ითხოვთ დადგენილ საზღვრებში მოქცეული თავისუფალი მიწის ნაკვეთის ერთი მხრიდან ჩამოჭრას და აღნიშნული ფართობის მომატებას თავისუფალ ტერიტორიაზე. ამასთანავე საკადასტრო რუკაზე მონიშნული ტერიტორიაზე ვრცელდება ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიდუბის რკინიგზის სადგურის და მიმდებარე ტერიტორიის პერსპექტიული განვითარების (ჩარჩო) გეგმა, რაც თავისთავად გამოიწვევს მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის ცვლილებას, აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.